სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080171416411620

№ 287 23 / იანვარი / 2020 წ.

SPA200000154 და NAT190025993 ელექტრონული ტენდერების შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2020 წლის 22 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც, SPA200000154 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო NAT190025993 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა (SPA200000154) და ქობულეთის მუნიციპალიტეტმა (NAT190025993) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე